ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/9640-14

"02" 12 2014 წ.

დადგენილება №000835
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

02.12.2014წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ დავით მედულაშვილმა განვიხილე 2014 წლის 16 ოქტომბრის №000835 მითითება და 2014 წლის 06 ნოემბრის №000835 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. **"იბერია ავტოჰაუსი"**-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №236081832, დირ. ალექსანდრე ხუციშვილი, პირადი №01020005017, მის: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქუჩა) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, "თეთრი დუქანი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, საკ. კოდი №01.72.14.034.795 შ.პ.ს. "იბერია ავტოჰაუსი"-ს მიერ განხორციელდა საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტის (ავტოსერვისი) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1444580 AR1242727 22.08.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: -3.60 ნიშნულზე „1-1" და "5-5" ღერძებზე შემცირებულია კოლონები სიგრძეში. „ე-ზ" მონაკვეთში „1-1" ღერძთან გაუქმებულია კოლონა, წყალსადენი მილი არ არის მოწყობილი პროექტით გათვალისწინებულ კონსტრუქციულ დეტალებზე. +0.00 ნიშნულზე „ი-ი" ღერძზე „5-5" და „1-1" ღერძებზე შეცვლილია კოლონების ფორმა. „1-1" და "5-5" ღერძებზე შემცირებულია კოლონები სიგრძეში. „ა-ბ" მონაკვეთში „1-1" ღერძზე მონოლითურ კედელში მოწყობილია ღიობი, აღნიშნულ მონაკვეთში გამყოფი მონოლითური კედელი არ არის გამოყოფილი სხვა ფაქტურით. +3.20 ნიშნულზე „ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია კიბის ღიობის კონფიგურაცია. „1-5" ფასადზე „3-4" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი, ხოლო +9.70 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ფანჯრები. „ა-ი" ფასადზე „დ-ზ" მონაკვეთში შეცვლილია მოპირკეთების ფაქტურა. „ი-ა" ფასადზე „დ-ა" მონაკვეთში გაუქმებულია 6 ფანჯარა. „5-1" ფასადზე „5-4" მონაკვეთში გაზრდილია ავტოფარეხის კარის ღიობი სიმაღლეში 0.90მ-ით, ხოლო მის თავზე მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია, შეცვლილია სამი ფანჯრის ღიობი, ხოლო სახურავის პარაპეტის სიმაღლე არ შეესაბამება საპროექტოს, აღნიშნულ სახურავზე დამატებით მოწყობილია დანადგარები.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

გაეცანი ოქტომბერ ფაილებ 08.12.2014 წ.

ადგილზე გადამოწმებით არ არის შესრულებული №1444580 AR1242727 22.08.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებული 4.6. პუნქტის მოთხოვნა - წარმოსადგენია მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა. საპროექტო ტერიტორიაზე დროებითი ნაგებობა და სამშენებლო ღობე ცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2014 წლის 16 ოქტომბერს შედგენილ იქნა მითითება №000835, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2014 წლის 06 ნოემბერს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000835, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. კერძოდ, გამოსწორებულია მხოლოდ შემდეგი დარღვევა – საპროექტო ტერიტორიაზე დროებითი ნაგებობა და სამშენებლო ღობე სცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

2014 წლის 28 ნოემბერს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "იბერია ავტოჰაუსი"-ს წარმომადგენელი დავით ჯოხაძე (პირადი №31001008882, მინდობილობა, გაცემული შ.პ.ს. "იბერია ავტოჰაუსი"-ს დირექტორის ალექსანდრე ხუციშვილის მიერ 28.11.2014წ.), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მანვე განაცხადა, რომ მითითებაში დაფიქსირებული დარღვევების გამოსწორებას აპირებენ პროექტის კორექტირების გზით. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "იბერია ავტოჰაუსი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სოფ. დიღომი, "თეთრი დუქანი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, საკ. კოდი №01.72.14.034.795 შ.პ.ს. "იბერია ავტოჰაუსი"-ს მიერ განხორციელდა საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტის (ავტოსერვისი) მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1444580 AR1242727 22.08.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.ბ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "იბერია ავტოჰაუსი" დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "იბერია ავტოჰაუსი"-ს დაევალოს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება**: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი**: სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "იბერია ავტოჰაუსი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე **დ. მედულაშვილი**

ელექტრონული საგადახდო დავალება N 8462
"30" დეკემბერი 2014

რეფერენსი
3226695286.00

გადამხდელის დასახელება: შპს "იბერია ავტოჰაუსი"

ანგარიში (დებეტი): GE04BG0000000875685601GEL
875685601(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

გადამხდელის დასახელება: შპს "იბერია ავტოჰაუსი"

საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი: 236081832

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

საიდენტ. კოდი:

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი): 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

გადახდის დანიშნულება: დადგენილება # 000835 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი: ბ. ა.

მთ.ბუღალტერი:

თანხა: 3000-00

თანხა სიტყვებით: სამი ათასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი:

გატარებულია ბანკის მერ: 30.12.14

ხელმოწერა:

"ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შეიქმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

ელექტრონული საგადახდო დავალება N 8462
"30" დეკემბერი 2014

რეფერენსი
3226695286.00

გადამხდელის დასახელება: შპს "იბერია ავტოჰაუსი"

ანგარიში (დებეტი): GE04BG0000000875685601GEL
875685601(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

გადამხდელის დასახელება: შპს "იბერია ავტოჰაუსი"

საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი: 236081832

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო

საიდენტ. კოდი:

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი): 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

გადახდის დანიშნულება: დადგენილება # 000835 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი: ბ. ა.

მთ.ბუღალტერი:

თანხა: 3000-00

თანხა სიტყვებით: სამი ათასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი:

გატარებულია ბანკის მერ: 30.12.14

ხელმოწერა:

"ს.ს. საქართველოს ბანკი" J.S.C. "BANK OF GEORGIA" შეიქმნილია ინტერნეტ ბანკში CREATED IN INTERNET BANK

მემორანდუმი

თბილისი

30 დეკემბერი 2014 წ.

ერთი მხრივ, შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP), წარმოდგენილი აქტივების აღრიცხვისა და განვითარების დირექტორის ვიტალი შლაფმანის მიერ და მეორე მხრივ, შპს „იბერია ავტოჰაუსი" (საიდენტიფიკაციო კოდი 236082832), წარმოდგენილი დირექტორის, ალექსანდრე ხუციშვილის მიერ,

ვინაიდან, მხარეები აღნიშნავენ და ადასტურებენ, რომ

სოფ. დიღომში "თეთრი დუქნის" მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი 01.72.14.034.795) გაედინება დ=900მმ წყალდენი და ითვლება გაზრდილი რისკის ზონად;

სამშენებლო ნორმებისა და წესების თანახმად, დაუშვებელია წყალდენის 10-მეტრიან სანიტარულ ზოლში კაპიტალური ნაგებობის არსებობა და

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აშენებულია შპს „იბერია ავტოჰაუსის" კუთვნილი "აუდის" ცენტრი,

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. შპს "იბერია ავტოჰაუსისათვის" ცნობილია, რომ ზემოთ აღნიშნული წყალდენის დაზიანების შემთხვევაში, სანიტარულ ზოლში განთავსებულ მის კუთვნილ შენობებს შეიძლება მიადგეს ზიანი.

2. წინამდებარე დოკუმენტით შპს „იბერია ავტოჰაუსი" (ან მისი სამართალმემკვიდრე) ვალდებულებას იღებს, წყალდენის მაგისტრალური ქსელის დაზიანების შემთხვევაში, დღე-ღამის განმავლობაში ნებისმიერ დროს, უზრუნველყოს დაზიანების ადგილზე GWP-ის საავარიო ბრიგადისა და მანქანა-მექანიზმების შეუფერხებელი ოპერატიული დაშვება და მუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველყოფა.

3. GWP ვალდებულებას იღებს, წყალსადენის ქსელის დაზიანების შემთხვევაში, შესაბამისი ნორმებით გათვალისწინებულ ვადებში, ოპერატიულად ჩაატაროს საავარიო-აღდგენითი სამუშაოები, რომელიც ვერანაირად ვერ გამორიცხავს გაზრდილი რისკის ზონაში ჩამოთვლილ ზემოხსენებულ გართულებებს.

4. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის მფლობელი არ იმყოფება ადგილზე ან უარს განაცხადებს დაზიანებულ ქსელზე აღდგენითი სამუშაოებისათვის საავარიო ჯგუფის შესვლაზე, ობიექტის მფლობელს დაეკისრება დაღვრილი წყლის ღირებულების გადახდა, ხოლო GWP-ის

თანამშრომლები დაზიანების ლიკვიდაციისათვის უფლებას იტოვებენ, გაატარონ სათანადო ადეკვატური ზომები (შენობის ან სხვა ნაგებობების დანგრევა და სხვა, ყოველგვარი კომპენსაციის ანაზღაურების გარეშე).

5. ქსელზე ავარიის გამო და/ან მისი აღმოფხვრის დროს, მესაკუთრის ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების, სხვა მატერიალური აქტივების, აგრეთვე, ეზოს ფილების დაზიანების ან მათი დანგრევის აუცილებლობის შემთხვევაში, მათ აღდგენაზე მატერიალური და ფინანსური პასუხისმგებლობა GWP-ის არ ეკისრება.

6. თუკი შპს „იბერია ავტოჰაუსი" შეასრულებს წინამდებარე მემორანდუმის პირობებს, GWP-ს არ ექნება პრეტენზია შპს „იბერია ავტოჰაუსის" მიმართ და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენისა და პროცედურების გათვალისწინებით მისცემს მას ნებართვას, განახორციელოს დაერთება GWP-ს წყალსადენის ქსელზე.

7. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ და რუსულ ენებზე, ორ ეგზემპლარად და გადაეცემათ მხარეებს. ქართულ და რუსულ ენებზე შედგენილ დოკუმენტებს შორის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ვარიანტს.

8. წინამდებარე მემორანდუმი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ალექსანდრე [illegible]
შპს "იბერია ავტო[illegible] დირექტორი

ვიტალი შლაფმანი
აქტივების აღრიცხვისა და
განვითარების დირექტორი

МЕМОРАНДУМ

Тбилиси 30 декабря, 2014 г.

ООО «Джорджиан Уотэр энд Пауэр» (GWP), в лице директора по учету и развитию активов Виталия Шлафмана, с одной стороны, и, с другой стороны, ООО «Иберия автохаус» (идентификационный код 236082832), в лице директора Александра Хуцишвили

так как стороны отмечают и подтверждают, что

в с. Дигоми, на прилегающей к «Белому Духану» территории (кадастровый код 01.72.14.034.795), проходит Д=900 мм водовод и считается зоной возросшего риска;

согласно строительным нормам и правилам, существование капитального сооружения в 10 метровой санитарной полосе водовода недопустимо и

На указанном земельном участке построен принадлежащий ООО «Иберия автохаус» центр «Ауди»,

стороны соглашаются о следующем:

1. ООО «Иберия автохаус» в курсе дела, что в случае повреждения вышеуказанных водоводов зданиям, находящимся в их владении, в санитарной полосе может быть причинен вред.
2. Настоящим документом владелец (или его правопреемник) берет обязательство, что в случае повреждения магистральной сети водопровода в любое время суток, обеспечит оперативный допуск аварийной бригады, машин и механизмов GWP на место повреждения, а также нормальные условия работы.
3. GWP берет обязательство, что в случае повреждения водопроводной сети, оперативно, в предусмотренные соответствующими нормами сроки, проведет аварийные-восстановительные работы, что никоим образом не исключает вероятность вышеуказанных осложнений в зоне повышенного риска.
4. В том случае, если владелец объекта не находится на месте или отказывается допустить к поврежденной сети аварийную группу для восстановительных работ, на владельца объекта возлагается обязанность по выплате стоимости пролитой воды, а сотрудники GWP для ликвидации повреждения оставляют право принятия соответствующих и адекватных мер (разрушение здания или другого строения и т.д. без всякой компенсации).
5. В случае необходимости повреждения или разрушения, по причине аварии на сети и/или во время ее устранении, строений и других материальных активов на территории владельца, включая повреждение или поломку дворовых плиток, на GWP не возлагается материальная или финансовая ответственность за их восстановление.
6. Если ООО «Иберия автохаус» выполнит условия настоящего меморандума, GWP не будет иметь никакой претензии в отношении ООО «Иберия автохаус» и, предусматривая

представление документов и процедуры, разрешит ему подсоединиться к водопроводной сети GWP.

7. Настоящий Меморандум составлен на грузинском и русском языках в двух экземплярах, которые будут переданы сторонам. В случае обнаружения несоответствия между документами, составленными на грузинском и русском языках, преимущество предоставляется грузинскому варианту.
8. Настоящий Меморандум регулируется законодательством Грузии.

Александр Хуцишвили
Директор ООО «Иберия автохаус»

Виталий Шлафман,
директор по учету и развитию активов
ООО «Джорджиан Уотэр энд Пауэр»

შპს იბერია ავტოჰაუსი

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ქ. თბილისი 05 ივნისი 2014 წ.

შპს. „იბერია ავტო ჰაუსი"-ს (ს/კ 236081832) დირექტორი, ალექსანდრე ხუციშვილი განაცხადებ უფლებამოსილებას მიხეილ ლომთათიძეს (პირადი № 61001020749), შპს „იბერია ავტო ჰაუსის"-ს სახელით (შემდგომში „კომპანია") განახორციელოს ნებისმიერი ან ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი მოქმედება:

მიხეილ ლომთათიძე უფლებამოსილია „კომპანიის" სახელით შეათანხმოს არქიტექტურული პროექტი თბილისის არქიტექტურის სამსახურში, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სოფ. დიდომში, „თეთრი დუქანი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.72.14.034.795) აუდის ცენტრის მშენებლობას. აღნიშნული დაფიქსების შესრულების მიზნით მიხეილ ლომთათიძე უფლებამოსილია შეიტანოს და დაარეგისტრიროს განცხადებები არქიტექტურის სამსახურში, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, გადაიხადოს შესაბამისი მოსაკრებელი და შეასრულოს სხვა საჭირო მოქმედებები.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია 6 (ექვსი) თვის ვადით.

შპს იბერია ავტო ჰაუსის დირექტორი

ალექსანდრე ხუციშვილი


44
134
20
100
90
90

აუდის საფირმო სერვის ცენტრისთვის განკუთვნილი ე.წ. შეკიდული ფასადი დამტკიცებული პროექტის შესაბამისად უცვლელი დარჩა, ამის გამო გიგზავნით იგივე კატალოგს, რომელშიც მოცემულია ჩვენთვის სასურველი მასალის მონაცემები.

(ე.წ. შეკიდული ფასადი შედგება უჟანგავი ფოლადის პერფორირებული ფურცლებისგან, რომელიც დამახასიათებელია აუდის თითქმის ყველა სერვის ცენტრისთვის.



START SEITE REFERENZEN

Der Automobilhersteller **Audi** hat entschieden, dass die **Audi Vertriebshäuser** in den nächsten Jahren ein einheitliches Erscheinungsbild erhalten sollen. Dazu wurde eine äußerst interessante **Fassadengestaltung** gewählt, die Dynamik, Asymmetrie und Transparenz als wesentliche Gestaltungsmerkmale vereint. Die äußerste Haut besteht aus mit **Wabenlochung (Sechseckloch**ung) versehenen, gekanteten Aluminiumpanelen.

Nach Allman Sattler Wappner, Architekten München, „in die Haut aus Aluminium werden expressive Fenster geschnitten, die im Kontrast zur geschlossenen Fassade eine besondere Bedeutung erhalten und Blicke in die Schauräume freigeben".

Die **Firma Moradelli** war in die **Entwicklung** involviert und ist von Audi freigegebener und empfohlener Vertragslieferant für diese speziellen Fassadenteile

In Abstimmung mit den Fassadenbauern und Architekten wurden bisher folgende Projekte umgesetzt bzw. sind in Arbeit:









MATERIALIEN UND WERKSTOFFE

Moradelli verarbeitet die **Materialien** in den folgend aufgeführten handelsüblichen Formaten:

- 1000 x 2000 mm - Kleinformat
- 1250 x 2500 mm - Mittelformat
- 1500 x 3000 mm - Großformat
- 2000 x 4000 mm - Superformat

Material vom Band (Coil), Breite max. 1250 mm, Dicke max 2,0 mm











HÄUFIG VERWENDETE ALUMINIUMARTEN:

EN - Bezeichnung	DIN - Bezeichnung
AW-1050A	Al 99,5
AW-5005	AlMg 1
AW 5754	AlMg 3

EDELSTAHL

HÄUFIG VERWENDETE EDELSTAHLARTEN:

EN - Bezeichnung	DIN - Bezeichnung
X5CrNi1810	1.4301
X2CrNiMo1810	1.4404
X10CrNiMoTi1810	1.4571
X15CrNiSi2520	1.4841
X6Cr17	1.4016 (magnetisch)
X6CrNiSiT 1810	1.4541
X15CrNiSi2012	1.4828

KUNSTSTOFF

HÄUFIG VERWENDETE KUNSTSTOFFARTEN:

PA	Polyamid
PE	Polyäthylen
PP	Polypropylen
PVC	Polyvinylchlorid

KUPFER

HÄUFIG VERWENDETE KUPFERARTEN:

SF - Cu

Tqveni gadawyvetilebis # 1664086 me-3-e punqtis sapasuxod gacnobebT, rom gadamowmda Tqvens mier miTiTebuli SeniSvna.